საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №116

2014 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს დასახლებული პუნქტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც ყოველწლიურად გამოითვლება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსების სიდიდეები

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც ყოველწლიურად გამოითვლება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსების სიდიდეები“.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — **ხათუნა გოგალაძე**

საქართველოს დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც ყოველწლიურად გამოითვლება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსების სიდიდეები

1. ქ. ბათუმი;
2. ქ. ზესტაფონი;
3. თბილისი;
4. ქ. რუსთავი;
5. ქ. ქუთაისი.